პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 14 თებერვალი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 35 (723) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა. ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

**განცხადება**

ორშაბათს, 16 თებერვალს, საღამოს 6—საათზე, ტფილისის აღმასკომის შენობაში დანიშნულია ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი სხდომა.

**კომუნალური (აღმასკომის დარბაზში)**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. საინფორმაციო მოხსენება ყინვების შედეგების შესახებ.
2. მიმდინარე საკითხები.

**საფინანსო (ოთახი № 17).**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1) მოსკოვის საფინგანში დაწყებულ მუშაობის შესახებ საინფორმაციო მოხსენება.
2) მიმდინარე საკითხები

**განათლების (ოთახი № 32).**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში ნაწარმოებ მუშაობის შესახებ.
2. მიმდინარე საკითხები.

**ჯანმრთელობის (ოთახი № 57.)**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ჯანმრთელობის განყოფილების მიმდინარე 1924/25 წლის ხარჯთ-აღრიცხვის გაცნობა სექციისთვის.
2. მიმდინარე საკითხები.

**საადგილ-მამულო (ოთახი № 66.)**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1) მიწის მზომელების და მიწის მოწყობის საკითხი ტფილისის მაზრაში 1925 წლის განმავლობაში.
2) მიმდინარე საკითხები.

**ზაჭესის (ზაჭესის კანცელარიაში)**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1) სამუშაოთა აღრიცხვის ნაწილის მოხსენება ნაწილის მუშაობის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

**დასწრება ყველა წევრთა სავალდებულოა.**

**პრეზიდიუმი.**

## როგორ ასამართლებენ ჯალათები მუშა-კომუნისტებს.

გერმანიის ქ. ლაიპციგში ამჟამად ხდება ეგრედ წოდებულ „გერმანიის ჩეკას" გასამართლება. ჩვენი წითელი-არმიელი იკითხავს სად „ჩეკა" და სად გერმანია? რა უნდა ბურჟუაზიულ გერმანიაში „ჩეკასო"? და მართლადაც მისი ეჭვი ამ შემთხვევაში სრულიად სამართლიანია, ვინაიდან არავითარ „ჩეკას" გასამართლება არ ხდება, არამედ ბურჟუაზია და მენშევიკები ასამართლებენ კომუნისტ-მუშებს, რომლებმაც 1923 წ. შემოდგომაზე აჯანყდენ კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ და მოინდომეს მისი დამხობა. ამ სასამართლო პროცესს ბურჟუაზიამ იმიტომ უწოდა „გერმანიის ჩეკას" გასამართლება, რომ დააშინოს ბურჟუაზიული და წვრილ ბურჟუაზიული წრეები. ნამდვილათ კი, არავითარი „ჩეკას" არ ასამართლებენ არამედ სჯიან მუშა-კომუნისტებს, რომლებიც 1923 წ. შემოდგომის გამოსვლების დროს იცავდენ პარტიას ბურჟუაზიის და მენშევიკების აგენტებისა და პროვოკატორებისაგან.

ხსენებული გასამართლება, ისე როგორც ეხლახან დასრულებული ჰამბურგის მეამბოხეთა პროცესი, მიმართულია გერმანიის კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ. როგორც რადიო გადმოქვცემს ბურჟუაზიულ სასამართლომ მუშა-კომუნისტებთან ერთად ბრალდებულთა სკამზე განზრახ დასვა აგრეთვე რამოდენიმე მოსყიდული პროვოკატორები, რომლებიც თავის ტყუილი, პროვოკაციული ჩვენებით ჩირქს სცხებენ კომპარტიას და საბჭოთა კავშირს.

გერმანიის ბურჟუაზიას და გამყიდველ სოციალ-დემოკრატიას ტყუილით, პროვოკაციით და საზიზღარი ცილისწამებებით სურს სახელი გაუტეხოს გერმანიის კომპარტიას მუშათა მასებში, მაგრამ ამაოდ. კომუნისტური პარტია შესძლებს ყველა მისი საზიზღარი ტყუილების გამოაშკარავებას და გამომზეურებას.

გერმანიის მუშათა კლასის ხელში უკვე საკმაო მასალები მოიპოვება, რომ დაინახოს თუ ვინ არის მისი ორგული და ვინ მეგობარი.

როგორც ვიცით ამ ჟამად გერმანიაში სწარმოებს სპეკულიანტ ბარმატის გასამართლება, რომელმაც გამოამჟღავნა აგრეთვე სოციალ-დემოკრატიის გათახსირება და ზნე დაცემულება. და რამდენიც არ უნდა ეცადონ გერმანიის ბურჟუაზია და მისი მოსარჩლე მენშევიკები გერმანიის კომპარტიის სახელის გატეხას, ისინი ამას ვერ მიაღწევენ. დეე მათ დღეს ასამართლონ კომუნისტები და არარსებული „ჩეკა". დადგება დრო, როცა მთელი გერმანიის კონტრრევოლიუცია თვით წარსდგება რევოლიუციონურ სასამართლოს წინაშე და პასუხს აგებს თავის ჯალათური საქმეებისათვის.

და ეს დროც არც ისე შორს არის.

## შეტაკება პოლიციასა და მუშათა შორის ჩეხიის დედა ქალაქ პრაგაში.

## მთავრობა ტყვიით უმასპინძლდება მშიერ მასებს.

მიტინგს, რომელიც მოწყობილი იქნა ჩეხიის კომპარტიის მიერ ნიშნად პროტესტისა—დაესწრო 15.000—მდე მუშა.

გამოსულ ორატორებმა აღნიშნეს კოალიციის, არსებულ მთავრობის შეუძლებლობა და სურვილის უქონლობა მათ მხრივ არსებულ სიძვირის და სპეკულიაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და მიუთითებდენ მშრომელთა მთლიან ფრონტის საჭიროებაზე ძალა უფლების დასაპყრობად.

მიტინგის შემდეგ მუშებმა, კომუნისტ-დეპუტატების მეთაურობით, გაეშურენ ქუჩებისაკენ რევოლიუციონურ სიმღერებით, გაარღვიეს პოლიციელთა წრე და გავიდენ უმთავრესს მოედანზე. პოლიციამ ბრაუნინგებიდან სროლა აუტეხა მათ. მანიფესტანტები თავს იგერიებდენ ჯოხებით და ქვებით, მაგრამ ისინი გაფანტული იქმნენ ჟანდარმერიის, ქვეითა და ცხენოსან პოლიციის მიერ.

პოლიციის ანგარიშით დაჭრილია 8 მანიფესტანტი და 30 მეტი პოლიციელი. დატუსაღებულია 30 კაცი.

გაზეთი „ლიუდოვი ნოვინი" იტყობინება, რომ პრაგის გარნიზონი გამზადებული იყო საომარ წესებისათვის და რომ სამხედრო რაზმებს ეკავათ სახელმწიფო დაწესებულებანი. ღამით სამხედრო პატრულები დაეძებდენ ჯარის-კაცებს, რათა მათ არ მიეღოთ მონაწილეობა მუშების დახვრეტაში.

15 თებერვალს ცეკა აწყობს ნიშნად პროტესტისა დახვრეტის წინააღმდეგ მანიფესტაციას.

ძირს მთავრობა! გაუმარჯოს მუშათა—გლეხთა ხელისუფლებას!"

## ჩეხიის კომპარტიის ცეკას მოწოდება.

ჩეხიის კომპარტიის ცეკამ მიმართა მშრომელთ მოწოდებებით, რომელშიაც ნათქვამია, რომ „მშიერ მასებს მთავრობამ უპასუხა ტყვიით, მაგრამ მუშები ამას არ შეუშინდებიან.

## საბჭოთა კავშირის და იაპონიის მეგობრობა.

იხილავს რა იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას „ოსაკა მაინი" სწერს: „მღელვარება, რომელიც გამოიწვია საზღვარ-გარეთ ხმებმა იაპონია-საბჭოთა კავშირის ანდა საბჭოთა კავშირი—ჩინეთ-იაპონია-გერმანიის კავშირის შესახებ მოწმობს საბჭოთა კავშირის დიდ გავლენაზე ევროპაში და იაპონიის დიდ გავლენაზე შორეულ აღმოსავლეთში. თუ საბჭოთა კაშირმა ლოიალურათ გაატარა საბჭოთა კავშირის და იაპონიის ხელშეკრულება, იმ შემთხვევაში ამ ორ სახელმწიფოს დაუბრკოლებლათ შეუძლიათ თავის ძლიერების გაფართოება იმ მიმართულებით, რომლითაც მოისურვებენ. სხვა დიდი სახელმწიფოები იძულებული იქნებიან შეიგნონ შეთანხმების აუცილებლობა საბჭოთა კავშირთან და იაპონიასთან.

ქვევით გაზეთი აღნიშნავს რა საბჭოთა კავშირის ეკონომიის მიერ აღორძინებას, აცხადებს, რომ შეუძლებელია წინდაწინ იმის თქმა მიგიყვანს თუ არა ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის და იაპონიის კავშირამდე ან და იაპონია-საბჭოთ კავშირი—ჩინეთ-გერმანის კავშირამდე. ყოველ შემთხვევაში საბჭოთა კავშირი და იაპონია უნდა იყვნენ მეგობრები.

## სტენგისის რეზოლიუციამ იხსნა ამსტერდამის ბიურო.

პრესაში მოყვანილია დამატებითი ცნობები ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიუროს სხდომების შესახებ. ამ ცნობების თანახმად სტენგისის რეზო-

## ჩვენი მუშაობის უახლოესი ამოცანები.

1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ განყოფილებამ გამოუშვა ბიულეტენი თავისი ოთხი თვის მუშაობის შესახებ ნაწილებში.

ბიულეტენში მოთავსებულია, აგრეთვე მე 4-ე პარტ-კონფერენციის ყველა რეზოლიუციები. აქ ნახავს ჩვენი პოლიტ მეთაურთა და წითელ არმიელთა შემადგენლობა პასუხს ყოველივე საკითხებზე, რომელიც კი წამოჭრილია დღის წესრიგში.

აქ არის პასუხი სოფლად პარტიულ და ახალგაზრდების შორის მუშაობის შესახებ.

მაგრამ ყოველივე ამის გატარება ცხოვრებაში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენი მომუშავეები მას შეითვისებენ სწორათ. ამ გარემოებით აიხსნება პოლიტ-განყოფილების მიერ ოთხი თვის გეგმის გამოცემა. გეგმის ნაკლი მხოლოდ ისაა, რომ იღებს თავის მუშაობის პერიოდათ ოთხ თვეს, რომელიც უნდა ითქვას არის დიდი დრო; ამ დროს განმავლობაში შეიძლება ბევრი რამ გამოიცვალოს, ბევრი დეფექტები აღმოჩნდეს, ბევრი წინ წავიწიოთ და უკეთესი მხარეები მოვნახოთ ჩვენს მუშაობაში, თუ როგორ ავღზარდოთ ჩვენი წითელი-არმიელები, რომლებიც ჯერ კიდევ ახლებია სამხედრო და პოლიტიკურ საქმეებში.

გეგმას შეუძლია, მხოლოდ ზოგადათ მიგვითითოს, მოგვცეს დაახლოებითი მუშაობის სახე, მისი კონკრეტიული შესისხლხორცება, ცხოვრებაში გატარებას კი შეუძლია უფრო მეტის მოთხოვნა და გაკეთება, ვინემ ჩვენი გეგმა ამას ლაპარაკობს.

დღეს მით უმეტეს „პურას" ინსპექციის ჩამოსვლამ, მათ მიერ ჩვენი ჯარის ცხოვრების გამორკვევამ, ჩვენ ბევრი ნაკლი დაგვანახვა და მიგვითითა მის გამოსწორების გზაზე. ამხანაგებისათვის ჯერ კიდევ არ არის ცხადი შედეგები ამ ინსპექციის, მაგრამ ამას ისინი ჩქარა გაეცნობიან და აი სწორედ ამ მხრივ, ჩვენს გეგმას ბევრი ნაკლი აქვს.

ეს ნაკლი რასაკვირველია პოლიტ-განყოფილებამ უნდა გამოასწოროს და მას შეძლებისდაგვარად გამოსწორებს, მხოლოდ რაც დარჩება და ჩვენ ვერ შევსძლებთ აქედან გათვალისწინებას, ადგილებმა უნდა შეასწორონ და მით სწორ ნიადაგზე დააყენონ ჩვენი მუშაობა არმიაში.

რომ ჩვენი გეგმის უარყოფითი მხარე, ანუ ნაკლი იქმნეს გამოსწორებული, საჭიროა მისი დაყოფა დანაწილება ამა თუ იმ პერიოდების მ ხედვით, თუ რომელ თვეში რა გატარდეს, ე. ი. მისი დაახლოება ცხოვრებასთან, ნაწილის სინამდვ ლესთან; მეორე კი, მიღება მხედველობაში ყველა იმ განკარგულებების და შესწორებების, რომელიც იქნება პოლიტ-განყოფილებიდან, თანახმად ინსპექციის მიერ მოცემულ ინსტრუქციისა; მესამე კი, ამხანაგებმა უნდა ეცადონ შეითვისონ ყოველი ნაკლი გეგმის, ჩვენი მუშაობის მხრივ და შეადარონ ის სინამდვილესთან, რომ ჩქარა წავსწიოთ წინ წითელი ლაშქრის მომზადება პოლიტიკურ და სამხედრო საქმეში.

ჩვენი გეგმა შედგენილი იყო ერთი თვის წინ, მაშინ მის შემუშავებაში ღებულობდენ მონაწილეობას ყველა პ. მგებელი ამხანაგები ნაწილებიდან, მაგრამ ჩვენ ვერ ვიტყვით დანამდვილებით, რომ მაინც აქ ყველაფერი რიგზე იყოს და მას გამოსწორება არ ესაჭიროებოდეს. აქ ერთი უნდა აღინიშნოს ყოველ შემთხვევაში პოლიტიკური ხაზი, რომელიც გეგმაშია გატარებული უნდა იქნეს მიღებული. მისი გვერდის ავლა არ უნდა მოხდეს. ამხანაგებმაც ამას უნდა მიაქციონ სათანადო ყურადღება და ის მთლიანად შეასრულონ.

აცეთი უნდა იქმნეს მოკლე შესწორებები ჩვენს გეგმაში და ჩვენს მუშაობაში იმ ხანებში, რომელიც აქვს გათვალისწინებული გეგმას.

ვ. სიხარულიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუციამ იხსნა ბიუროს მდგომარეობა. მთელი ტაქტიკა გამომუშავებული იყო მემარჯვენეების მიერ.

სტენგისის რეზოლიუციის პირველი პროექტი დიდ დათმობას აძლევდა მემარჯვენეებს. ამსტერდამი თანხმდებოდა საბჭოთა პროფკავშირების თავის წევრათ მიღებაზე; ამავე პროექტით მოწვეული უნდა ყოფილიყო კონფერენცია საბჭოთა პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან ერთად, რომელსაც უნდა ეცნო ამსტერდამის ყველა სტატუტები.

სხდომაზე კენჭი უყარეს აგრეთვე შვეიცარიის პროფკავშირების წარმომადგენლის—დიურაჟის რეზოლიუციას. საბჭოთა პროფკავშირების საწინააღმდეგო დიურაჟის სიტყვა მოულოდნელათ დამთავრდა რეზოლიუციით, რომლისთვის ხმის მიცემაც შესაძლებლათ იცნეს ინგლისელებმაც. სტენგისის რეზოლიუციის მიღების შემდეგ მერტენი სცდილობდა შემოეტანა დამატებითი წინადადება, რომელიც იწონებდა კონფერენციის ბიუროს მუშაობას და უარს ამბობდა გამაერთიანებელ კონგრესის მოწვევაზე. პროტესტების შემდეგ მერტენმა უკანვე წაიღო თავისი წინადადება.

## ინგლისის ფლოტს შეუმცირეს თანხა.

ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა შეამციროს ფლოტისათვის გადასადებელ თანხის რაოდენობა. ფიქრობენ რომ ეს თანხა შეამცირონ 6 მილიონი გირვანქა სტერლინგით.

## ჩინეთის რევოლიუციის ბელადის სუნ-იატ-სენის ჯანმრთელობა უარესათაა.

სუნ-იატ-სენის ჯანმრთელობა უფრო და უფრო უარესდება. მაჯის ცემა უსუსტდება. ყოველ წუთში შესაძლოა რომ დადგეს ჩინეთის რევოლიუციის ბელადის უკანასკნელი წუთი.

## ბორას მოთხოვნილება.

ბორა მოითხოვს გერმანელ მოქალაქეებისთვის ომის დროს ჩამორთმეულ ქონების დაბრუნებას. თეთრი სასახლე კი ამაზე უარს ამბობს სანამ მოწესრიგებულ არ იქნება პრეტენზიები გერმანიისადმი. ამ ნიადაგზე ჩამოვარდა მწვავე უთანხმოება.

## ეგვიპტედან ფულის აღება შანტაჟია.

თემთა პალატის სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა მაკ-ნეილმა განაცხადა, რომ 500. 000 გირვანქა სტერლინგიდან, რომელიც გადაიხადა ეგვიპტემ მთავარ-სარდალ ლი-სტეკის მკვლელობის ასანაზღაურებლათ 48.000 გირვანქა სტერლინგი მიეცა ლისტეკის ქვრივს, მის ადიუტანტს და შოფერს. დანარჩენი მოხმარდება სუდანს. ამის საპასუხოდ კომუნისტ საკალტვალამ განაცხადა რომ სუდანის მთავრობა წარმოადგენს უცხოეთის სამხედრო ტირანიას. ეგვიპტედან ფულის აღება წარმოადგენს შანტაჟს. საკალტვალა მოითხოვს, რომ დარჩენილი თანხა დაუბრუნდეს ეგვიპტეს ხალხს. სუდანის ხალხი არ მოისურვებს ამ სისხლიანი ფულით სარგებლობას.

## ფინეთის ვალები.

სეიმი იხილავდა მთავრობის წინადადებას საგარეო სესხის დახლოებით 1 მილიარდის ფინეთის მარკის აღების შესახებ ამერიკიდან. სესხის აღება განზრახულია ოქროს ვალიუტის შემოღების მიზნით. ამ სესხის აღების შემდეგ ფინეთის სახელმწიფო ვალი გაიზრდება 3—4 მილიარდამდე.

## ჩინეთის ხალხი უნდა შეიარაღდეს განიარაღების მაგიერ.

**ვაშინგტონის მეორე კონფერენცია განიარაღების შესახებ.**

ჩინეთის გაზეთები, უკანასკნელათ, ბევრსა სწერენ ჩინეთის მონაწილეობის შესახებ ვაშინგტონის მეორე კონფერენციაზე განიარაღების შესახებ.

გაზეთი „ბიი ძინ ჟი ბაო“ სწერს:

„ამ კონფერენციაზე არ უნდა მიიღოს ჩინეთმა მონაწილეობა, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება ჩინეთის სასიცოცხლო ინტერესებს. ამ კონფერენციის შედეგები, მართალია ფარულათ, მაგრამ მაინც მიმართულნი არიან ჩინეთის ხალხის დაჩაგვრისაკენ. განიარაღებისაკენ კი არა—შეიარაღებისაკენ უნდა მოუწოდებდეთ ჩინეთის ხალხს, რომ უფრო მომზადებულნი შევხდეთ უკანასკნელ ბრძოლებს ჩინეთის ექსპლოატატორებთან“.

## პოლონეთში ვერაა ყველაფერი რიგზე.

ქალაქ ბრესტში, პინსკში, ვისოკოლიტოვკაში და კობრინოში მოხდა კომუნისტების დაპატიმრებანი.

სულ დაჭერილია 66 კაცი.

## გაფიცვას აწყობდნენ.

პოლონეთის მთავრობას შეეშინდა რკინის გზელთა გაფიცვის, რომლის მოწყობასაც კომუნისტები ფიქრობდნენო, სწერენ გაზეთები და იმიტომ მოხდა უკანასკნელი დაპატიმრებანია.

## ულუკმა პუროთ.

რკინის გზელთა შტატის უკანასკნელი შემცირების გამო, ბევრი მუშა დარჩა ულუკმა—პუროთ. გაფიცვების საფრთხის თავიდან ასაცილებლათ ვარშავაში დააპატიმრეს 26 გამოჩენილი რკინის გზელი მუშა.

## პოლონეთ-ამერიკის სავაჭრო შეთანხმება.

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი აქვეყნებს ცნობას, რომ დადებულია სავაჭრო შეთანხმება ამერიკასა და პოლონეთს შორის.

## საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობა.

**თბილისის მაზრაში.**

— **თავმჯდომარე ბის არჩევა.** სოფ. თელეთში, სოღანლუღში და კუმისში უკვე დასრულდა არჩევნები. აღნიშნულ სოფლებში უკვე აირჩიეს ცენტრალურ გამგეობის აღმასკომები და მათი თავმჯდომარეები.

— **კოჯრის თემში.** კოჯრის თემში საბჭოთა არჩევნები მოხდა 8 თებერვალს. უკვე აირჩეს კოჯრის სათემო აღმასკომი.

— **სასოფლო საბჭოები.** უკვე აირჩიეს სოფელ კოჯორის, წავკისის და წყნეთის სასოფლო საბჭოები.

**ხონში.**

ხონის საქალაქო საბჭოს არჩევნები დასრულდა. სულ აირჩიეს 85 დეპუტატი, აქედან 2… კომუნისტია. საბჭოში გავიდ… აგრეთვე ქალებიც.

## პოლონეთში დაიჭირეს პარტიზანების ერთი მეთაური.

სანაპირო რაზმმა ტყვეთ წაიყვანა 8 პარტიზანი და მათი გამოჩენილი მეთაური ლისა.

## სამღვდელოებასთან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი.

პოლონეთის მთავრობასა და კათოლიკეთა ეკლესიის მეთაურ ვატიკანს შორის დადებულ ხელშეკრულებას უკვე მოაწერეს ხელი მხარეებმა.

## საქმე სოფლკორის დევნის შესახებ.

ქალაქ მინსკში 12 თებერვალს დაიწყო პროცესი სოფლის კორესპოდენტ ლაპიცკის დევნის შესახებ.

პროცესზე ესწრებიან ბელორუსიის კორესპოდენტთა ყრილობის მთელი შემადგენლობა.

ბრალი ედება ათ კაცს მათ შორის ურეცის სასოფლო საბჭოს მდივანი ოვსიანიკოვი და რაიაღმასკომის თავმჯდომარე დობროვსკი.

## 40 მოწმე.

სასამართლოზე გამოწვეულია 40 მოწმე მათ შორის უმთავრესათ ღარიბი გლეხები არიან აგრეთვე მოხუცებული ქალები და კაცები.

## ბრალდებულთა დაკითხვა.

დაკითხულ იქნენ ყველა ბრალდებულნი. ოვსიანიკოვმა განაცხადა, რომ იგი ღატაკი გლეხია ჩამომავლობით და დიდხან იდგა სხვასთან მოჯამაგირეთ, მსახურებდა წითელ არმიაში სანიტრათ და პარტიის კანდიდატათ ითვლება 1921 წლიდან.

დობროვსკიმაც უჩვენა, რომ იგი კომ. პარტიის წევრია 1919 წლიდან, თავი ისახელა წითელ არმიაში ურალის ფრონტზე და არავითარი ქონება არ გააჩნია.

# სამხედრო საქმე

## ესკადრონის ახალი ორგანიზაცია.

II

პირველ წერილში ჩვენ მოვიყვანეთ მოკლეთ ესკადრონის ახალი ორგანიზაცია წითელ არმიაში.

როგორც სჩანს იქიდან, მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს ესკადრონის ცეცხლის გაძლიერების საქმეს.

ცხენოსანი ჯარი, როგორც წინეთ, ისე ეხლაც არის ერთი მთავარი დარგთაგანი ჯარისა. მისი მნიშვნელობა და დანიშნულება არ შემცირებულა, მხოლოდ საჭიროა მისი მოქმედების შეფარდება ბრძოლის თანამედროვე პირობებთან.

თანამედროვე ბრძოლა ხასიათდება ცეცხლის სიძლიერის უაღრესათ განვითარებით.

ამისათვის ცხენოსანი ჯარის ტაქტიკურათ გამოყენება ცხენოსან წყობილებით თითქმის შეუძლებელი ხდება. ბრძოლაში ის იმოქმედებს მეტინაწილათ ჩამოქვეითებული და ამისათვის საჭიროა მისი სასროლი იარაღების გამრავლება და მით ცეცხლის გაძლიერება.

ცხენოსანი ჯარი როგორც წინეთ, ისეც ეხლა ასრულებს დამოუკიდებლათ თავის ამოცანებს. წინეთ ეს შეიძლებოდა ცივი იარაღით, და ცხენოსნურათ და იშვიათად ცეცხლის საშუალებით.

შემდეგ თანდათან ცივი იარაღის გამოყენება მცირდება და იზრდება სასროლი იარაღის მოქმედება. ამის და მიხედვით მას არ აიარაღებენ მითი.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცხენოსანი ჯარის ძირითადი თვისება არის სისწრაფე მოძრაობის და მანევრები. თუ მეტის მეტათ შეიარაღდა ის სასროლი იარაღით, მძიმდება და მთავარი მისი თვისება—სისწრაფე, რითაც ის არის ძლიერი კლებულობს.

ის იქცევა უკვე ქვეითა ჯარათ, იმ განსხვავებით, რომ ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის ცხენით.

ამიტომ საჭიროა ზომიერათ მისი შეიარაღება, რომ არ მოხდეს გადაჭარბება არც იქით და არც აქეთ.

საფრანგეთში არის საერთო ლტოლვა გამანქანებისაკენ. ფრანგებმა საერთაშორისო ომების დროს 1916 წ. უკვე ისე დაამძიმეს თავისი ცხენოსანი ჯარი სხვა და სხვა სასროლი იარაღების დამატებით, რომ მას მანევრობა აღარ შეეძლო, მხოლოდ მითი სარგებლობდენ როგორც სწრაფ მოძრავი რეზერვით.

ცხენოსნური მოქმედებები სრულიად ამოიშალა მათი პრაქტიკიდან და გადაიქცა ცხენზედ მჯდომ ქვეითებათ. დღესაც ასეთი სურათია. საფრანგეთის ცხენოსან ჯარში ესკადრონს აქვს შემდეგი შეიარაღება თოფებს გარდა: 1. ხელის ტყვიამფრქვევები 8 (ოცეულში ორი); 2. ერთი ოცეული (მეხუთე) მძიმე ტყვიამფრქვევებისა (ოთხი ტყვიამფრქვევი). გარდა ამისა უმაღლეს შეერთებებში (დივიზია) მიღებულია მდიდარი არტილერია, ტანკები, ავტომობილები, თვით მფრინავები და სხვა და სხვა ტეხნიკური საშუალებები.

აქედან ნათლად სჩანს, რომ ასეთ ესკადრონს შეუძლია ძლიერი ცეცხლი გააჩინოს, მაგრამ მანევრები ცხენოსან წყობილებით და რეიდები მისთვის ზღაპარია.

ასეთი ორგანიზაცია შეიძლება შეეფერებოდეს საფრანგეთის და საერთოთ დასავლეთის ასპარეზს: მრავალი ხაზები რკინის გზებისა, კულტურული მხარე, მეტათ განვითარებული წარმოება (საომარი მასალების დამზადება) და აგრეთვე საომარი ასპარეზის სიმცირე, მაგრამ სრულიად გამოუსადეგარია უფრო ვრცელი და გაშლილი ასპარეზებისათვის, მაგალითად როგორც არის რუსეთი და აღმოსავლეთის ასპარეზები საერთოდ.

იქ საჭიროა მეტი მანევრები გზები ნაკლებია, წარმოება ნაკლებად არის განვითარებული, ამიტომ ასეთ მდიდრათ გამანქანებულ ნაწილის გამოკვება საომარი მასალით და მისი მიწოდება ძნელი იქნება. გარდა ამისა ასპარეზი იმდენათ ვრცელია, რომ მისი გაჟღენთა ჯარებით შეუძლებელია. აქ იბადება შემთხვევა ფრთების შემოკლების, რეიდების და სხვა. ასეთი მოქმედება შეუძლებათ მხოლოთ მანევრების უნარიან და სწრაფ ნაწილებს.

წითელი არმიის ცხენოსანი ჯარი დაიბადა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში. მან თავის მხრებზედ ქადაიტანა ეს ომი და მიანიჭა გამარჯვება მშრომელ ხალხს თავისი მამაცური, ნამდვილი ცხენოსნური მოქმედებით. მან ბევრი რამ შეიძინა და შეისწავლა ბრძოლების დროს. ამხ. ბუდიონის ცხენოსანი არმია, ეგრეთ წოდებული „ჯინიანი არმია“. მდიდრათ იყო შეიარაღებული ტეხნიკით, მაგრამ ზომიერათ; ამას არ უშლიდა გაეკეთებინა 1000 ვერსიანი ლაშქრობა ჩრდილო კავკასიიდან პოლონეთში. მისი მოქმედება უმეტესათ იყო მანევრებიანი, მაგრამ ცეცხლის ძალაც ძლიერი იყო. ამნაირათ შეთანხმებული მანევრები და ცეცხლი იძლევიან გამარჯვებას.

ახალი წესდება არის შედეგი იმ გაკვეთილებისა, რაც მოგვცა საერთაშორისო და სამოქალაქო ომებმა. ზომიერათ არის შეთანხმებული ტეხნიკა და მანევრიანობა. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ მისი კარგათ და გონივრულად შესწავლა და რაც ძნელია, ცხოვრებაში გატარება.

დოლიძე.



# ᲠᲐᲗ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲥᲪᲔᲕᲔᲜ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ?

გაზეთ „წითელ არმიელი“-ს ა. წ. 7 თებერვლის № 29 (717)-ში მოთავსებული იყო წერილი სათაურით „დასაშვე-ბია?“, რომელშიაც დაწვრილებით იყო აღნიშნული, თუ რო-გორ ცუდ მდგომარეობაში არიან ცხენოსან ლეგიონის შტა-ბის გადამწერები იმის გამო, რომ მორიგეობის დროს მათ უხდებათ თავის მოვალეობასთან ერთად აგრეთვე შიკრიკ-დამ-ტოვებლის მოვალეობის ასრულებაც, რაც ყოვლად დაუშ-ვებელია და რასაც ყურადღებას არავინ არ აქცევს.

დროა ბოლო მოეღოს ასეთ დაუდევრობას. გაანთავისუ-ფლეთ გადამწერები ზედმეტ შრომისაგან.

სამხკორი ისარი.

# ᲡᲐᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ-ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ.

**მეტი ასეთები ჩვენს რიგებში.**

ქართულ დივიზიის ლაზარე-თში მსახურებს წითელ-არმიე-ლი ამხ. გ. ელბაქიძე, რომე-ლიც თავისი ერთგული სამსა-ხურით ავადმყოფებსა და მთე-ლი ლაზარეთის შემადგენლო-ბის ყურადღებას იქცევს.

თითეული ავადმყოფის და-ბანებზე, უფროსის განკარგუ-ლებაზე და სხვა ფეხზე სდგას. ამავე დროს ამასთან ამხანაგი არც სხვა კულტურულ-განმანათლე-ბელ ხასიათის საქმიანობას რჩე-ბა. აქაც დიდ მუყაითობას და ინტერესს იჩენს საქმისადმი.

იმედი გვაქვს, რომ ამხანაგი სოფლად დაბრუნების შემდეგ ასეთივე ინტერესით და ენერ-გიით გააგრძელებს თავის საყ-ვარელ საქმეს—საბჭოთა ხე-ლისუფლების განმტკიცებისა-თვის მუშაობას.

ლაზარეთის ავადმყოფები კი დიდ მადლობას უძღვნით ამ-ხანაგს, ჩვენდამი ასეთი ყურად-ღების მოქცევისათვის.

ჩარგეიშვილი.

# ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲗ. ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

10 თებერვალს ქართ. მეთ. სკოლის მე-3-მე ასეულში: ლე-ნინის კუთხის მმართველი კო-მისიის ხელმძღვანელობით ჩა-ტარებული იქნა საუბარი სამ-ხედრო ხელოვნებაზე და ძვე-ლი და ახალი ჯარის მნიშვნე-ლობაზე.

პირველად ამ საკითხს შეე-ხო ამხ. მაღალაშვილი, რომელ-მაც ვრცლად გააცნო კურსან-ტებს ძველსა და ახალ ჯარს შორის არსებული განსხვავება და მისი მნიშვნელობა.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ამხ. ვაშალომიძე, რომელიც უფ-რო ღრმად შეეხო ჯარის ის-ტორიას და აღნიშნა, რომ ჯარი იზრდებოდა ყოველთვის სულ ისკვეთებით, როგორი ხელისკვეთებითაც იყო გაე-ლენთილი გაბატონებული კლა-სი და ამით ანხორციელებდნენ თავიანთ მიზნებს. შემდეგ გაი-მართა სამხედრო ფანტი. კურ-სანტები აძლევდნენ ერთი მე-ორეს შეკითხვებს სამხედრო მეცნიერებიდან, რაც საერთო სიხარულს და დიდ აღფრთო-ვანებას იწვევდა მათში.

საერთოდ სკოლის ლენინის კუთხის მმართველი კომისია, ენერგიულად მუშაობს, მხო-ლოთ უკეთესი, იქნება, ასეთ საუბრებთან ერთად მოაწყობ-დეს ცოცხალ გაზეთსაც და თითეულ შეკითხვის გარშემო ტარდებოდეს საუბარი, ასეთი მუშაობა დიდ ნაყოფს მოი-ტანს და მმართველი კომისიაც მადლობის ღირსი იქნება.

ლავრო ჭელიძე.

# ᲛᲝᲡᲞᲔᲗ ᲜᲐᲙᲚᲝᲣᲚᲔᲕᲐᲜᲔᲑᲐᲜᲘ.

**შეაკეთეთ წყლის მილები.**

პირველი ლეგიონის ეზოში მრავალ უყურადღებობას აქვს ადგილი. პირველი,—ეზოში გამოყვანილი წყალსადენის მილი გაფუჭებულია და აუარება წყალი იღვრება. აქედან გა-მოწვეულ ცუდ შედეგებს, რომ თავი დავანებოთ, სახელმწი-ფო ნახულობს ზარალს.

ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი ფეხის ადგილში. წყლის შემგროვებელი ჭურჭელი აქაც გატეხილია, უამრავი წყა-ლი იღვრება, და შეუძლებელია შიგ შესვლა. განათება ხომ დი-დი ხანია რაც არ არის.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ყოველივე ამას და დაჩქა-რებით იქნეს გამოსწორებული.

წით. ხიშტი.

# ᲒᲘᲜᲐ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲕᲐᲠᲒᲐ.

უნცროს მეთაურთა საარტილერიო სკოლა ძლიერ ცუდ შენობაშია მოთავსებული, სახელდობრ საარტილერიო ბატა-რეის შენობის ქვემო სართულში. მეცადინეობის დროს ძლ-იერ გვიშლის ხელს ზედა სართულში ბატარეიელების შეუწ-ყვეტელი ხმაურობა. შეუძლებელი ხდება ასეთ პირობებში გულმოდგინეთ და ყურადღებით უსმინოთ გაკვეთილებს. სა-ჭიროა მოგვექცეს ყურადღება და თუ სათანადო შენობა არ მოგვეცემა, ჩვენი მეცადინეობის დროს მაინც შესწყდეს ხმა-ურობა ზედა სართულში. ამასთანავე ძლიერ მოიკოჭლებს ჩვენი ლენინის კუთხეც, რაც დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. ჩვენი ლენინის კუთხე სრულიად არ უნდა ჩამოუარდებოდეს სხვა ნაწილებისას.

ს. ბუბაშვილი.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲔᲠ-ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

**სპეციალური ცოდნის შეძენას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.**

მეოთხე ტერ-ლეგიონის საკავშირო ასეულის მუშაობა პირველი ხანებში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა.

სპეციალურ სამხედრო საქმეს და მის შესწავლას დიდი ყურადღება ექცეოდა ასეულის მესვეურების მიერ და წითელ არმიელებიც დიდი მონდომებით სწავლობდენ სამხედრო საქ-მეს.

ამ ბოლო ხანებში, განსაკუთრებით საზამთრო პერიოდის დაწყებით, ჩვენი სწავლის საქმე ძლიერ შეფერხდა. თითქმის სისტემატიურად გაყავთ ჩვენი ასეული ყარაულში, რამაც თი-თქმის ხელი აგვაღებია სპეციალურ სამხედრო ცოდნის შეს-წავლაზე. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას. კავ-შირის საქმის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის და თუ ეხლავე არ შევითვისეთ, პრაქტიკაზე გასვლის დროს ძლიერ გაგვიჭირდება.

ამის შესახებ არა ერთხელ მიგვიმართავს სადაც ჯერ არს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ისევ წინანდებურად გვაგზავნიან ყა-რაულში.

სამხკორი მ. ქოჩიაშვილი.

# ᲞᲝᲚᲘᲢ-ᲡᲐᲐᲗᲘ 6-ᲡᲔ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ.

დიდი ხანი არ არის მას შე-მდეგ რაც ჩვენს ლეგიონში დაარსებული იქნა პოლიტიკუ-რი წრე, მაგრამ თავისი ენერ-გიული და სისტემატიურ მე-ცადინეობის წარმოებით ის ჩქარა დადგა თავის სიმაღლეზე. არმიელების მთელი გულისყუ-რი ამ წრისკენ არის მიქცეუ-ლი, ყველამ კარგად იცის თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მას მათი პოლიტიკუ-რად განვითარების საქმეში და სცდილობენ არ გამოუშვან არც ერთი სამეცადინო საათი.

ხშირად, მეცადინეობის და-წყებამდე წრეში თავშეყრილ არმიელებს შორის ასტყდება კამათი სხვა და სხვა საკითხე-ბის გარშემო, რომელიც ძლ-იერ საინტერესო სახეს ღებუ-ლობს. ახალი პოლიტ-საუბარი უფრო და უფრო მეტ მასალას გვაწოდებს. წრეში არ მოიპო-ება ისეთი წითელ-არმიელი, რომელსაც კარგად არ ქონ-დეს შესწავლილი რევოლიუ-ციის ისტორია 1905 წლიდან დაწყებული დღევანდლამდე და არ იცოდეს, თუ როგორ რო-ლს თამაშობდა ამ მოძრაობა-ში ესა თუ ის რევოლიუციის ბელადი.

მეცადინეობა გაყოფილია ორ ნაწილად: პირველად სწარმო-ებს საუბარი ახალი საკითხების შესახებ, ხოლო შემდეგ იწყე-ბა ძველის განმეორება და ახა-ლის გამოკითხვა. საერთოდ პოლიტიკური მეცადინეობა კა-რგ ნიადაგზეა ჩვენს ლეგიონში დაყენებული და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სულ მალე ჩვენს რიგებში არ იქნება ერ-თი პოლიტიკურად გაუთვით-ცნობიერებელი წითელ-არმი-ელი.

წ. არმ. ა. ბორდაძე.

# ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲣᲜᲪᲠᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲐ.

პირველ ლეგიონში ამ დღეებში დაარსებული იქნა უნ-ცროს მეთაურთა სკოლა. სკოლაში გადაგზავნილი იქნენ მხო-ლოდ წითელ-არმიელები და 11 თებერვლიდან უკვე შეუდ-გენ მეცადინეობას. ახალი კურსანტები დიდი ენტუზიაზმით ეკიდებიან თავის მოვალეობას და ენერგიულად შეუდგენ სამ-ხედრო გამოცდილებასა და ცოდნის შეძენას.

იმედია მომავალი გამოწვევისათვის მათი სახით, ახალ

# ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

**პარტმუშაობას ვაფართოებთ.**

7 თებერვალს მოწვეულ იქნა მესამე ლეგიონის მეოთხე კომუჯრედის კრება, რომლის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები:

1) კომუჯრედის ჩამოყალიბება ასეულში და მისი პრე-ზიდიუმის არჩევა, და 2) პარტიაში შესვლის მსურველ ამხა-ნაგების განცხადების განხილვა.

პირველი საკითხის შესახებ ინფორმაციული ხასიათის გა-ნმარტებით გამოვიდა ამხ. მელაძე და გააცნო ამხანაგებს, თუ რამდენად ნაყოფიერი იქნება და გააცხოველებს პარტმუშა-ობას კომუჯრედის ასეულის ფარგლებში ჩამოყალიბება.

კრებამ ერთხმად გამოსთქვა სურვილი, კომუჯრედის შე-დგენის შესახებ და შეუდგა მისი პრეზიდიუმის არჩევნებს. უჯრედის პასუხის მგებელ მდივნის შესახებ, დაევალა პრეზი-დიუმს გამოყოს ასეთი თავის შემადგენლობიდან. შემდეგ კრე-ბამ განიხილა პარტიაში მისაღებ ამხანაგების განცხადებები, და დადგენილ იქნა ერთი ამხანაგის მიღება პარტიის კანდიდა-ტათ, ხოლო მეორე ამხანაგს კი უარი ეთქვა, რადგანაც პო-ლიტიკური ცოდნის მხრივ ძლიერ მოისუსტებდა.

პარტკორი გ. გადაბახაძე.

# ᲐᲮᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

**ჩვენი საქმიანობა.**

2-რე ქართული ლეგიონის მეორე ათასეულში ამ ჟამად ირიცხება 17-დე ახკომკავშირის წევრები, რომელთა შორის მუდმივ სწარმოებს მეცადინეობა.

რამოდენიმე დღის წინად მიწვეული იქნა ათასეულის ახ-კომკავშირელთა ღია კრება. დაესწრენ არა კავშირის წევრე-ბიც.

კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ბახტაძემ „პარლამენტა-რიზმისა და პროლეტარიატის დიქტატურის“ შესახებ. მომხ-სენებელი ძლიერ გასაგებათ შეეხო აღნიშნულ თემას და დი-დი ინტერესი გამოიწვია დამსწრეებში.

კარგი იქნება ხშირად იქნეს გაკეთებული მოხსენებები ასეთ საყურადღებო თემებზე. წითელ არმიელები დიდი გულ-მოდგინებით მოუსმენენ მათ და სათანადოთ გაერკვევიან მნი-შვნელოვან საკითხებში.

მოხსენებისათვის ამხანაგს დიდი მადლობა გამოუცხადა კრებამ.

შემდეგ კი კრებამ აირჩია პარტკორი და მით დასრუ-ლდა.

პარტკორი ჭიჭიეშვილი.

წვეულ წითელ არმიელებს ეყოლებათ საუკეთესოდ მომზადე-ბული უნცროსი მეთაურები.

უსურვებთ ახალ კურსანტებს მეტი ენერგიის გამოჩენას. მათ დიდი საპასუხისმგებლო საქმე დააკისრა საბჭოთა ხელი-სუფლებამ და დარწმუნებული ვართ, რომ ღირსეულად შეა-სრულებენ მას.

სამხკორი ივ. ბარელაძე.

# ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ.

**ᲠᲐ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲩᲠᲩᲘᲚᲡ.**

ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებიდან ცნობები მოდის, რომ ჩრჩილმა სულ ერთიანად გააფუჭა სიმინდის მოსავალი. ეს ახალი ამბავი როდია.

ჩრჩილი ყოველ წლივ აფუ-ჭებს ცოტათ თუ ბევრად სიმი-ნდის მოსავალს.

მაგრამ ზოგიერთ წელიწად-ში განსაკუთრებით მრავლდება ხოლმე და შიმშილსაც კი იწ-ვევს ხოლმე. მაგალითად ამ 40 წლის წინათ ჩრჩილის წყალო-ბით მთელი გურია და სამეგ-რელო დაიმშა. 1901 წელსაც დიდი შიმშილობა გამოიწვია ჩრჩილმა სამეგრელოში.

ჩრჩილი პატარა პეპელაა.

იგი სიმინდის მარცვლებზე სდებს წვრილ, თვალით უჩი-ნარ კვერცხებს.

კვერცხებიდან პატარა მატ-ლები იჩეკება; მატლები ჩაძვ-რებიან ხოლმე მარცვლის შუა გულში და სულ ერთიანად გამოღრღნიან და გამოსჭამენ ხოლმე მას.

შემდეგ სიმინდის მარცვლის გულშივე იკეთებენ პატარა პარკებს აბრეშუმის ჭიასავით.

ამ პარკში ატარებენ ზამ-თარს.

გაზაფხულზე კი პარკიდან პეპლები გამოდიან. სიმინდი გაფრინდაო რომ იტყვიან სწორედ ამასა ჰქვიან.

ასე აფუჭებს ჩრჩილი სიმინ-დის მარცვალს.

ჩრჩილისაგან გაფუჭებული მარცვალი თითქმის აღარაფრათ აღარ ვარგა.

სათესლედ ის არ ივარგებს, რადგან არ გაღივდება.

კიდეც რომ გაღივდეს, მის-გან ამოსული სიმინდი სუსტი და დაჩაგრული გამოვა, ტაროს ვერ გაიკეთებს.

ჩრჩილისაგან გაფუჭებული სიმინდი არც საჭმელად ვარგა. გლახა სუნისა და ფერის ფქვილს იძლევა. თუ კაცს ძალიან არ

უპირს, მას საჭმელად არ იხმარს. ღორსა და ქათამსაც კი არ შეერგება ხეირიანად.

ერთი სიტყვით, ჩრჩილი დიდ ზიანს აყენებს სიმინდს.

რომ სიმინდი გადავარჩინოთ და ცარიელ-ტარიელი არ დავრჩეთ, საჭიროა ჩრჩილი მოვსპოთ.

ჩრჩილის მოსპობა არც ისე ძნელი საქმეა.

ამისათვის მრავალნაირი საშუალება არსებობს.

თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ ჩრჩილს, ამის შესახებ შემდეგ წერილში იქნება დაწერილი.

გ. ა—ძე.

## შინაურ საქონლისა და კაცის გადამდები ავადმყოფობანი.

### როგორ ვრცელდება ქოთაო.

ქოთაო ემართება ჯანსაღ ცხენს ავადმყოფი ცხენისაგან, როდესაც ისინი ერთად აბიან და ჯანსაღ ცხენს ავადმყოფი ცხენის ცხვირის ზლმურტლით და კანის იარების ბალღმით დასვრილი საკვებისა და წყალის ჭამა და სმა უხდება. ამ სენის გადადება შეიძლება აგრეთვე ცხენის მოკაზმულობის, ჩულის, ჯაგრების, საწურველების, ჩალის, თივის და სხვა საგნების საშუალებითაც.

ქოთაოს სამხედრო ნაწილში გავრცელების მხრივ ყოველთვის საშიშროებას წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს ნაწილისათვის ახლად შეძენილი ცხენები.

ხშირად ხდება ისე, რომ ეს ცხენები შესახედავათ სავსებით ჯანსაღნი არიან და არავითარი ნიშნები ქოთაოსი მათ არა აქვთ, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ქოთაო აჩნდებათ მათ და ნაწილის სხვა ცხენებსაც ემართებათ მათგან. თუ ავადმყოფი ცხენი ჯანსაღ ცხენთან ერთად დიდ ხანს აბია, არ შეიძლება, რომ ამ უკანასკნელს ქოთაო არ დაემართოს. ამიტომაცაა რომ ყველა ახლად შეძენილი ცხენები, როგორი ჯანმრთელობისაც არ უნდა იყვნენ ისინი შეხედულობით, ვეტექიმის მიერ ნება დაურთველად, უკანასკნელი ორ კვირაზე ადრე მაინც, არ უნდა შეურიოთ ნაწილის სხვა ცხენებში და ამ უკანასკნელებთან ერთად არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავაბათ, რომ ახლად მოყვანილ ცხენებს ფარული ქოთაო არ ჰქონდესთ და უკანასკნელი ნაწილის ძველ ცხენებს არ დაემართოს.

რადგან დღემდის არ არის აღმოჩენილი ისეთი წამალი, რომლითაც შესაძლებელი იყოს ქოთაოს მორჩენა, ამიტომ ყველა ქოთაოიანი ცხენები, როგორც კი გამოირკვევა, რომ ისინი ქოთაოიანია, დაუყონებლივ უნდა მოკლულ იქნენ. ყველა ის საგნები, რომლებსაც რამე კავშირი ჰქონდათ ამ ავადმყოფ ცხენებთან, ან უნდა მოსპობილ იქნენ ვეტექიმის ხელმძღვანელობით ან უნდა სასტიკ დეზინფექციის ქვეშ გატარდენ.

იმ თავლების ნეხვი, თივა, ჩალა და სხვა, სადაც ქოთაოიანი ცხენები იდგნენ, უნდა დაიწვას ხოლო თვით თავლებს—კი დეზინფექცია გაუკეთდეს.

ქოთაოიანი ცხენების მომვლელებმა, რომ მათ ქოთაო არ გადაედვასთ, ჯერ საპნით უნდა დაიბანონ კარგად ხელები და შემდეგ კარბოლის სიმჟავე ან სულემა გადაისხან.

თუმცა არსებითად ქოთაო ასეთია, ვეტერინარულ მეცნიერებას მაინც აქვს საშუალება ამა თუ იმ ცხენის ქოთაოთი ავადმყოფობა წინდაწინვე გამოარკვიოს და ამიტომაცაა დაკანონებული, რომ სამხედრო ნაწილში ყოველი ახლად მოყვანილი ცხენი დაუყონებლივ გასინჯულ იქნეს ვეტექიმის მიერ.

ვეტექიმი ფარეიშვილი.

## უცხოეთის არმიებში.

### კაპიტალისტები ახალ საშინელებებს უმზადებენ კაცობრიობას.

საფრანგეთის სამეცნიერო კომიტეტში წამოიჭრა აზრი ბაქტერიოლოგიური ომის წარმოების შესახებ. ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სრულიად არავითარ სიძნელეს არ გამოიწვევს მოწინააღმდეგე არმიის ზურგში მდებარე რაიონებში გაავრცელონ სხვადასხვა გადამდებ სნეულებათა ბაცილები, მაგალითად: ხოლერის, შავი ჭირის და ტიფის.

კომიტეტის აზრით ტიფსა და შავი ჭირის ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელია. ამისათვის საჭირო იქნება ან განსაკუთრებული ფილტრების დამზადება ან და ფართედ უნდა იქნეს გამოყენებული ქლორიანი წყალი. მიუხედავად ამისა ეპიდემია მაინც მოედება რაიონების საკმაო სივრცეს, სწრაფად გავრცელდება ძთელ ზურგში და შეიძლება გადავიდეს მეზობელ ქვეყნების საზღვრებშიდაც. კომიტეტი ამტკიცებს, რომ საშინელი ბაქტერიოლოგიური ომის წარმოებას ეპიდემია დიდ საშიშროებას უქადის კაცობრიობას.

არტილერიის იარაღებიდან ბაქტერიოლოგიური ჭურვების გასროლა შეუძლებელია, რადგან ჭურვის გასროლისა და აფეთქების დროს განვითარებული ძლიერი სიცხე-ელეტს ბაქტერიებს. კომიტეტი ფიქრობს, რომ თუ ბაქტერიოლოგიური ომის წარმოება შესაძლებელი იქნა, მხოლოდ იმ გზით, რომ ჰაეროპლანებიდან გადაისროლონ ბაქტერიებით სავსე ყუმბარა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე.

ბაქტერიები არ არის მძიმე, ამიტომ ერთი ჰაეროპლანს იმდენი ყუმბარების წაღება შეეძლება, რომ საგრძნობლად დიდ რაიონს მოჩხამავს თავისი ყუმბარების გადასვრით.

**ავსტრალიის გარშემო ავტომობილით.**

ორმა ინგლისელმა 9 ნახევარ დღეში შემოიარეს მთელი ავსტრალია და ამ ხნის განმავლობაში მათ გაიარეს ავტომობილით 2.200 მილი.

**სისწრაფის ახალი რეკორდი.**

ინგლისელმა ფრინავმა ამას წინად აიღო სისწრაფის რეკორდი. (ერთ საათში გაიარა 450 კილომეტრი). იგივე მფრინავი იმედს გამოსთქვამს, რომ ამ ახლო მომავალში ის აიღებს ახალ სისწრაფის რეკორდს-საათში 500 კილომეტრს.

**მაღლა შორს მსროლელი ახალი ინგლისური ზარბაზანი.**

ინგლისში ამას წინად დაასრულეს ახალი მაღლა შორს მსროლელი ზარბაზანი. მისი კალიბრი უდრის 202,6 მილიმეტრს. იარაღის სხეულის სიგრძე კი აღწევს 122 კალიბრამდე. საჭურვე კამერის სიგრძე 2 ნახევარ მეტრს, ხოლო ხრახნილი ნაწილის სიგრძე კ 26 მეტრს.

საჭურვე კამერის მოცულობა უდრის 16 კუბიკურ მეტრს. მისი ჭურვი იწონის 240 გირვანქას. პირველ დაწყებითი ჭურვის სისწრაფე ერთ წამში უდრის 1 530 მეტრს.

ინგლისელი არტილერისტები ფიქრობენ, რომ ზარბაზნის გასროლის მანძილი მიაღწევს 116 კილომეტრამდეო. ხოლო ფრანგი არტილერისტების აზრით კი—გასროლის მანძილი 130 კილომეტრამდე მიაღწევსო.

## ამბები სოფლებიდან

**კოოპერაციის გასაძლიერებლათ.**

ბორჩალოს მაზრის გლეხკომთა კონფერენციამ დაადგინა აწარმოოს სათანადო აგიტაციაპროპაგანდა გლეხების კოოპერატიულ ორგანიზაციებში სამუშაოთ ჩასაბმელათ და ხელი შეუწყოს ყველა გლეხების კოოპერატივების წევრებათ ჩაწერას.

**ფართლის მიწოდება.**

რაჭის სამაზრო გლეხკომმა დაადგინა მიაწოდოს გლეხებს ფართალი და სხვა პირველ მოთხოვნილების საგნები იმ სოფლებში, სადაც კოოპერატივები არაა.

**აგრონომების მოწვევა.**

სენაკის აღმასკომმა დაადგინა მოიწვიოს გამოცდილი აგრანომები მაზრაში სამუშაოთ და მეურნე გლეხებისათვის რჩევა დარიგების გასაწევათ.

**საგანმანათლებლო დაწესებულებები.**

მთელ გორის მაზრაში, წარსული წლის განმავლობაში არსებობდა და მუშაობა სწარმოებდა 67 ქოხსამკითხველოში, 29 თეატრ-კლუბში და 247 წ.-კ. სალიკვ. პუნქტზე.

**გლეხკომის დახმარება.**

საჩხერის გლეხკომმა დღიდან მისი დაარსებისა, საექიმო დახმარება გაუწია 469 გლეხს.

**საზოგადოებრივი ხვნა-თესვა.**

ბორჩალოს სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა აღარ გასცეს იჯარით გლეხკომის კუთვნილი სახნავი მიწების ნაკვეთები და მოაწყოს მათი კოლექტიური დამუშავება საზოგადოებრივი ხვნა თესვით.

**წყალდიდობასთან ბრძოლა.**

გორის აღმასკომის სატეხნიკო განყოფილება შეუდგა პროექტისა და ხარჯთ-აღრიცხვების შედგენას იმ მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლათ, საიდანაც ნიაღვრობის დროს საფრთხილოა მცხოვრებთათვის ზარალის მიყენება.

**ხიდი ტყვიავში.**

სოფ. ტყვიავში მდ. პატარა ლიახვზე ხიდის შეკეთება შეუდგებიან გაზაფხულიდან

**საქონლის ცოფი.**

სოფ. სამწევრისში (გორის მაზრა) თავი იჩინა საქონლის ცოფმა. ცოფდებიან შინაური ცხოველები და ძაღლებიც.

**ელმ სკოლის დახმარება მოწაფეებს.**

გორის აღმასკომმა გამოუწერა მაზრაში არსებულ ყველა 4 წლიან შრომის სკოლებს 138 საბავშო ჟურნალები.

**ტყავის წარმოება.**

რაჭის სამაზრო გლეხკომმა განიზრახა მოაწყოს ტყავების გადასამუშავებელი ქარხანა და გახსნას ფეხსაცმელების სახელოსნო.

## ახალი ამბები.

— **საჯარო ვაჭრობა.** 16 თებერვალს დანიშნულია ყოფ. თფილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო-მამულო ბანკში დაგირავებულ ქონებათა გასასყიდათ, საჯარო ვაჭრობა.

— **აღმასკომის სკოლები.** ამჟამად ქალაქის აღმასკომის გამგებლობაში ტფილისში ირიცხება 89 სკოლა 35.205 მოწაფით და მაზრაში 153 სკოლა 15,000 მოწაფით.

— **დახმარება ქვრივ-ობლებს.** იანვრის განმავლობაში თფილისის დამზღვევმა კასამ ქვრივ-ობლებს დახმარების სახით დაურიგა 2943 მანეთი.

— **ლექციები სატყეო მეურნეობაზე.** მიწ. მოქმ. კომისარიატის დავალებით საქ. გლეხთა სასახლეში პროფ. ქურდიანი დაიწყებს ლექციების კითხვას საქართველოს სატყეო მეურნეობაზე.

— **წიგნების დატარება.** ტფილისში უკვე შესდგა წიგნების დამტარებელთა კოლექტივი, რომლის გამგეობამაც გადასწყვიტა გააფართოვოს აღნიშნულ კოლექტივის მუშაობა.

— **მევენახეობისათვის.** სახალხო მამულების ტრესტმა საზღვარ გარეთიდან გამოიწერა 10 ათასი ფუთი შაბიამანი.

— **კოოპერატიული სკოლა(?)სები.** ამჟამად ტფილისში ... სინლია ცეკავშირის მ... თვიანი კოოპერატიული ... სები კოოპერაციის მუშაკთ... სამზადებლათ.

— **კონსერვის გაგზ...** გასული წლის ბოლოს ... შირმა გაგზავნა მოსკოვ... ათასი კილო კონსერვი. ... სერვები დამზადებულ იყ... კავშირის საკუთარ ქარხანა...

**სათადარიგო ლიანდ...** ტრამვაის სამ ართველო... დგა ტრამვაის სათადარიგო ... ანდაგების გაყვანას.

## პასუხი შეკითხვებზე.

### კითხვა.

ვცხოვრობ ალაზნის ქ. № 7-ში, მიჭირავს ოთახი ... ცით 30 კვ. ალაბი, სადაც ვიმყოფებით სამი სული. ... გირს ვღებულობ, როგორც წითელი-არმიელი. რამდენი ... და ვიხადო ბინის ქირა?

ბინის დაკავების შემდეგ ჩავდგი მინები და კედ... შევაკეთე,—ეს ხარჯი შეიძლება გამოუქვითო თუ არა?

წ. არმ. ალექ. ხოფერია.

### პასუხი.

თანახმად ტფილისის აღმასკომის დადგენილებისა ... ლი-არმიელი იხდის 1 კვადრატიული ალაბზე თითო კ... იმ შემთხვევაში, თუ მის ოჯახში მეტი არავინაა მარჩენ...

ბინის შესაკეთებლად გაწეული ხარჯი თავის თავად... დია გამოექვითება ბინის ქირიდან სახლის პატრონს.

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

## განცხადებები.

კვირას, 15 თებერვალს, დილის 10 საათზე ქარ... დივიზიონის ბიბლიოთეკაში შესდგება მორიგი მეცადი... საბიბლიოთეკო სექციის.

### გააკეთებენ მოხსენებას:

1. ქავთარაძე.
2. შავგულიძე.

სავალდებულოა დაესწრონ ყველა ბიბგამგეები.

საბ. სექც. ხელმძღვანელი ე. მურადოვი

შაბათს, 14 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, დანი... ლია 1-ლ ქ. მ. დივ.

### პარტკომისიის სხდომა

(ივანგულოვის ქუჩა № 2 პარტკომისიის ბინაზე), რომე... დაც საჭიროა გამოცხადდენ ყველა პარტკომისიის წევრ... კანდიდატები, აგრეთვე შემდეგი ამხანაგები, რომლებთაც... მოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში მიღების შესახ...

**საარტილერიო ლეგიონიდან:**

1. პაპოვი ბორის.
2. ტარიელაშვილი სიმონ.
3. იორდანიშვილი ალექსანდრე.
4. წითლიძე.

**ცალკე საკავშირო ასეულიდან:**

1. ჭელიძე გალაქტიონ.
2. დონდუროვი გიორგი.

**სამხ. პოლიტ-სკოლიდან:**

1. სიხარულიძე შალვა
2. დევაძე კონსტანტინე.

**„ევკოგრუზი“ დან.**

1. ვართანოვი ალექსანდრე.

1-ლ ქ. მ. დ. პარტკომისია.

15 თებერვალს მე-6-ე ტერ-ლეგიონის (კუკიის ყაზარმა) ... ლის 10 საათზე დანიშნულია:

### საერთო პარტიული კრება

ძირითად და ცვალებად შემადგენლობაში მყოფ პარ... წევრებისა და კანდიდატებისა.

დასწრება ყველა მე-6-ე ტერ-ლეგიონზე მიწერილ ... ლებად შემადგენლობაში მყოფ პარტიის წევრებისა, კა... დატებისა და ახ. კომ. კავშირლებისა სავალდებულოა.

ბიურო კოლექტივის მდივანი ადამია.



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.

ტირაჟი 1000.